№ 132 ივნისი 21, შაბათი 1886 ივნისი 21, შაბათი № 132

| გაზეთი ღირს: | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდელი 6 მან.**

ტფილისი, 20 ივნისს

„ყოფნა, თუ არ ყოფნა“-ო, წარმოსთქვა ერთხელ შექსპირის ჰამლეტმა, როცა საქმის ვითარებამ ორში ერთი დაუყენა წინ ამოსარჩევად. გავა დღეს გლადსტონის პროექტი ირლანდიის შესახებ, თუ არ გავაო? ამბობს ეხლა მთელის ქვეყნიერობის განათლებული ნაწილი, რაკი იგი პროექტი წარუდგა ინგლისის ერს განსაკითხავად. დღეს ინგლისი წარმოადგენს დიდებულ სახეს ერისას, რომელსაც თვალ-წინ უდევს ერთი დიდი საქმე გადასაწყვეტად. ეგ იმისთანა საქმეა, რომლის სამართლიანად და მართლ-მსჯელობით გადაწყვეტა ამ სახელოვანს მეცხრამეტე საუკუნეს ერთს უკეთესს სხივს შარავანდესისას კიდევ მოუმატებს უტყუარის ისტორიის წინაშე და მის გვირგვინს სახელოვანებისას ერთს უკეთესს ალმასს კიდევ შესძენს მერმისში თავ-მოსაწონებლად. უეჭველია, თვითონ დედა-აზრი გლადსტონის წინადადებისა დღეს იქნება, თუ ხვალე უსათუოდ გაიმარჯვებს, იმიტომ-რომ სათავედ, როგორც ბევრჯელ გვითქვამს, სიმართლე და კაცთ-მოყვარეობა აქვს. ამ ორს ქვა-კუთხედს ადამიანის მშვიდობიანობისას და ბედნიერებისას ვერაფერი ვერ დასძლევს, ვერაფერი ვერ გადედობება და ადრე თუ გვიან თავის გზას იპოვის და თავის ადგილს დაიჭერს კაცობრიობის ცხოვრებაში კაცთა საბედნიეროდ.

დღეს მთელის განათლებულის თვალი ინგლისის ერზეა მიქცეული მარტო იმისათვის, რომ შეიტყონ ინგლისის ერი იმოდენად ღონიერია თუ არა, რომ ეს მძიმე ცხოვრების საქვა-კუთხედო საგანი დღესვე ასწიოს, მიიტანოს და თავის ცხოვრებას დაუდოს საფუძვლად. ინგლისის უდიდებულესს მამულიშვილს გლადსტონს სწამს, რომ მერმისი მისკენ იქნება, ხოლო თავისის საყვარელის ერის სასახელოდ სწყურიან, რომ ეგ მოამხრეობა დღესვე აღიაროს ინგლისის ერმა და მით დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ იგი დღესაც ღირსია დიდებულის ერის სახელწოდებისა. წყურვილი პატიოსანია, მაღალ-ბუნებიანი და კეთილშობილური. სამოც-და-თექვსმეტის წლის მოხუცი თვით იწვის და იდაგვის მტერთა მოკიდებულ ცეცხლისაგან, ოღონდ კი თავის ერს დიდების სახელი მოუპოვოს ქვეყნის წინაშე. სხვერპლი მის მიერ დიდია, ამ ხნოვანობაში მაინც, მაგრამ დიდია თვით საქმეც, რომელსაც საწირავად და მტლედ დაუდვა ამ სახელოვანმა მოხუცმა თავისი საკუთარი მშვიდობიანობა, დაივიწყა საკუთარი თავი და სასროლელ ნიშნად დაუსვა ათას ნაირ ნაძირალს მეტოქობასა, რომელსაც ცილის-წამება ისრად დაუჭერია ხელში და თავ-გასულობა მშვილდათა. საბუთი მიუძღვოდა გლადსტონს ეთქვა ის, რაც მან წარმოსთქვა ლეიჩესტერში, როცა ათი ათასი კაცი მიეგება დიდის ზარითა და ზეიმითა ამ დიდებულს კაცს რკინის გზის სადგურზედ. «მეო, სთქვა გლადსტონმა: ორი რამ უნდა შევნიშნო. ერთი ის, რომ ორმოც-და-თოთხმეტი წელიწადია რაც საზოგადო სარბიელზედ ვმოქმედობო და თავის დღეში ესეთი ძლიერი მოძრაობა და საქმიანობა ერისა არ მინახავსო, როგორსაც დღესა ვხედავო და მეორე ის, რომ თვალი მთელის ქვეყნიერობისა თავის დღეში ესეთის ძლიერის ყურადღებით არ მოქცეულა ჩვენზედა, როგორც დღესაო. არამც თუ მარტო ბრიტანიის ერი, არამედ მთელის განათლებულის ქვეყნიერობის ერნიც ცხოველის ინტერესით შემოგვცქერიან ჩვენ და ჩვენს დღევანდელს საქმესაო. თუ დღეს ჩვენი ერი ირლანდიის სასარგებლოდ იტყვის თავის სიტყვას და იმედიცა მაქვს რომ იტყვის, მაშინ თვით მთელი ქვეყანა მოილხენს და გაიხარებსო.“

გაიმარჯვებს, თუ არა გლადსტონი ამ სიბერის დროს,—ეს დღევანდელის დღის ინტერესია. ხოლო ეს კი ვიცით, რომ უკანასკნელთა დღეთა თვისთა დიდის შარავანდეთითა ჰმოსავს. ღმერთმა დიდ ხანს აცოცხლოს, მაგრამ უყველა სიკვდილის შვილია და დღეს, გაიმარჯვებს, თუ დამარცხდება გლადსტონი, მაინც დიდებით ჩავა საფლავში და მადლიერ შთამომავლობას, რომელიც მისგან დათესილს მოიმკის თავის დროზედ, მაინც უტყუარი საბუთი ექმნება სთქვას:

> დღენი ამისნი ემსგავსნენ
> ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
> მის შუქი თუმცა გვინათებს,
> მარამ ველარ ვსჭვრეტთ მის სახეს!

## ახალი ამბავი

*** ტფილისში ხმა დადის, მაგრამ ეს ხმა რამდენად მართალია, ნამდვილად ვერას ვიტყვით, რომ წარსულ ხუთშაბათს, 12 ამ თთვისას მოხდა მეტის-მეტად შემაძრწუნებელი საქმეო, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელიაო. ხელოსანი (ხარატი) მელიტონ ქურდოვანიძე, 18—19 წლის ვაჟ-კაცი, წასულა ბაზარში მასალის სასყიდლად. ალექსანდროვის ბაღის კარებთან იმას შეხვედრიან ნაცნობები, რომლებსაც ძალათი დუქანში წაუყვანიათ და ღვინო უყიდვინებიათ. ცოტა ხნის შემდეგ ქურდოვანიძეს მოუწადინია წამოსვლა, მაგრამ არ გამოუშვიათ. სმა გაგრძელებულა საღამომდე. საღამო ჟამზე მთვრალი ქურდოვანიძე ფაიტონით მუშტაიდში წაუყვანიათ. სეირნობის შემდეგ კიდევ სხვა დუქანში წასულან, სადაც იმდენი ღვინო დაულევინებიათ ქურდოვანიძესთვის, რომ უგრძნობლად გაუხდიათ. ამის შემდგომ, როცა ღამეც კარგა გატეხილა, წამოუყვანიათ საწყალი მენახშირეების ბინაზე და ერთს თავლაში გათენებამდე უწვალებიათ. გათენებას რომ მოუტანებია, გამოუყვანიათ და ქუჩაში დაუტოვებიათ. პატრონებმა ცოცხალ-მკვდარი იპოვნეს, მაგრამ ბევრი ვერაფერი უშველეს; 17 ამ თთვისას მელიტონ ქურდოვანიძე გარდაიცვალა. ავად-მყოფ ქურდოვანიძეს ერცხვინებოდა და ამ ამბავს მალავდა; სიკვდილის ჟამს კი ერთს თავის მდგმურს გაუტყდა სუყველაფერში. საქმის გარემოება ბევრმა თურმე იცის, ხმას კი არავინ იღებს და არ აცხადებს. მიცვალებული გუშინ დამარხეს.

*** ტფილისელებს ზაფხულში ორად ორი ადგილი აქვთ სასეირნო, სადაც სიცხით შეწუხებულთ შეუძლიანთ ისეირონ და მწვანით ისიამოვნონ. ეს ორი ადგილი გახლავთ მუშტაიდის ბაღი და ალექსანდროვისა. მეორე ბაღს ზემო ნაწილი უკვე დააქციეს მუზეის ასაშენებლად, დარჩა მარტო ქვემო ბაღი—პატარა ადგილი. ხალხი ყოველ საღამოს სულ მუშტაიდისკენ მიეშურება. ამ ბაღს კი ერთი რიგიანი პატრონი არა ჰყავს, რომ მოაწყოს როგორც რიგია, თითონაც ისარგებლოს და მცხოვრებლებსაც რიგიანი სასეირნო ადგილი გაუმართოს. თორემ ამ ჟამად მუშტაიდის ბაღი მეტად ცუდს მდგომარეობაშია, მტვრით სავსე, ალაგ-ალაგ ნაგვების გროვაა, არ არის გამართუ-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

*პოეტი-მეფე ბავარიის ტახტზე.—მისი უცნაური ცხოვრება და უცნაური სიკვდილი.—ჭკუაზე-შეშლილი მეფე.*

გერმანიის ერთს კარგად მოზდილ სახელმწიფოში, სახელდობრ, ბავარიაში, ერთი სამწუხარო უბედურება მოხდა, რომელმაც მთელი ევროპა აალელვა და აალაპარაკა. ეს ამბავი მით უფრო აშფოთებს და ცნობის-მოყვარეობას უღვიძებს ყველას გულში, რომ რაღაცა საიდუმლოთია გარემოცული, საქმის ნამდვილ გარემოებას შავი ფარდა აქვს ჩამოფარებული.—მაინც რა მოხდა?

ბავარიის სატახტო ქალაქის, მიუნხენის ახლო ამართულია ერთი მთა, რომელსაც ბავარიელები „Berg“-ს უწოდებენ. ეს მთა ტიროლის ბუნებით უხვად შემკობილ ველ-მინდორს დასცქერის და თვალის მომხიბლავ, გულის მიმზიდველ სურათს წარმოადგენს. ამ მთას ამშვენებს მდიდარი სასახლე, მეფური ციხე-გალავანი, რომელიც ნამდვილის მეფურის თავმოწონებით გადმოჰყურებს გარშემოს. სასახლის გარშემო დიდ-მანძილზე ტყე არის. ტყე ჩრდილოვანის ხეივნებით არის რამდენსამე ადგილას გადაჭრილი. ხეივნები ერთს დიდს წყლით სავსე ტბას შემოჰრტყმიან გარშემო, ფოთლით შემოსილი ხის ტოტები სასიამოვნოდ თრთიან ტბის ანკარა წყალში.

3 ივნისს, საღამოს რვა საათზე ამ ტბაზე რაღაცა უცნაური მოძრაობა იყო. ნავში ორი კაცი იჯდა და მოუთმენლად ნიჩაბს უსვამდა, ნაპირზე რამდენიმე კაცი ანთებულის მაშხალეებით მოსდევდა ნავს და გზას უნათებდა. ცხადია წყალში რაღასაც ეძებდნენ. აგერ რაღაც შენიშნეს: წყალზე დატივტივებდა პალტო და ორი ქუდი. აქვე ახლოს შავად ორი კიდევ რაღაცა მოჩანს... მიუახლოვდნენ:—წყალს ზემოდ მოეტივტივებინა ორი დამრჩვალი კაცი. ორივე ჩქარა იცნეს: ერთი იყო—ბავარიის მეფე, კოროლი ლუდვიგი II, მეორე—კოროლთან მიჩემებული ექიმი გუდდენი.

ვინ იყო ეს უბედური მეფე და რამ აიძულა წყალში თავი დაერჩო?—ყურადღების ღირსია ამ მეფის ცხოვრება და თავ-გადასავალი.

ლუდვიგი II სულ 41 წლისა იყო, როდესაც ქვეყანას გამოესალმა. დაიბადა 1845 წელსა 25 აგვისტოს. სულ 18 წლისა იყო, როდესაც ლუდვიგი ბავარიის სამეფო ტახტზე ავიდა. მაშასადამე, სულ 22 წელიწადი და 3 თთვე ყოფილა მეფედ. ბავარიელები დიდის სიხარულით და ალტაცებით მიეგებნენ ლუდვიგის ტახტზე ასვლასა. წარმოსადეგი, ახოვანი, თვალ-ტანადი, ნიჭიერი, კარგად განათლებული ჭაბუკი-მეფე დიდს იმედებს აძლევდა ბავარიელებს. ესენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლუდვიგის მეფობა ხანგრძლივი და ბედნიერი იქნებაო.

მართლა და პირველ ხანებში ერთგულად შეუდგა სახელმწიფო საქმეების მართვას, გულ-მოდგინედ და გატაცებით ასრულებდა თავის მძიმე მოვალეობასა. მეფემ დიდი გამჭრიახობა და შორ-მჭვრეტელობა გამოიჩინა სახელმწიფო საქმეებში. დიდად თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა ყველა დაწყობილებას, თუ ჰხედავდა, რომ ეს დაწყობილება ბავარიას აღამაღლებს და განაძლიერებს. ბავარიის თავისუფლების ერთგული გუშაგი, ლუდვიგი განუკითხველი მტერი იყო ყველასი, ვინც ბავარიის დამცირებას განიზრახავდა და მის თავისუფლებას შეეხებოდა. როდესაც ბისმარკმა ნემეცის ერის გასაძლიერებლად გერმანიის წვრილ სახელმწიფოთა შეერთება განიზრახა, ლუდვიგმა პირველმა მისცა მხარი: მაღალის აზრებით გატაცებული, ლუდვიგი სიხარულით მიემხრო ბისმარკის აზრსა. მაგრამ, როდესაც ამავე ბისმარკს ბავარიის ჯარებისათვის ისეთი ქუდები უნდა შემოეღო, როგორიც პრუსიის ჯარებსა აქვს, ე. ი. კასკები, — ლუდვიგმა სრული უარი გამოაცხადა და ასეთი პასუხი შეუთვალა: «მე არა მსურს, რომ ჩემი ჯარები მეხის ამცდენს (ГРОМООТВОДЪ) ქუდებს ატარებდნენო».—ასე დაცინვით იხსენიებდა ლუდვიგი „კასკებსა“.

ასე განაგებდა ლუდვიგი სამეფოს ათის წლის განმავლობაში, თუმცა ამ დროსაც კი ჰგრძნობდა თავის დიდ მოვალეობის სიძნელეს. ლუდვიგი არ იყო გაჩენილი ამ მძიმე მოვალეობისთვის, ვერ უძლებდა ამ ტვირთსა. მისი მოძრავი, ადვილად გასატაცებელი ბუნება ვერ აიტანდა დამჯდარ მუშაობასა, მუდმივ, ერთ-გვარ ზრუნვასა სახელმწიფო საქმეებზე. პოეზია, მუსიკა, წიგნები—აი სამეფო, რომელიც მის სულსა და გულს იზიდავდა და სადაც იგი თავის თავს ბედნიერად და თავისუფლადა სთვლიდა. ამიტომ სახელმწიფო საქმეები ჩქარა მოსწყინდა და ბოლოს გული სრულიად აიცრუა. ამასთან ყმაწვილობიდამვე ლუდვიგს ერთი უბედური ხასიათი დაჰყვა და რაც ხანში შედიოდა, მით უფრო მეტად უძლიერდებოდა. პატარაობიდამვე მარტოობა, განდეგილი ცხოვრება მოსწონდა, საზოგადოებაში ყოფნა არ უყვარდა, შორს უდგებოდა, და ბოლოს იქამდინ მივიდა, რომ ახლო კაცებსაც კი იშვიათად ენახვებოდა ხოლმე. ქალები დასანახავადა სძულდა თურმე. ერთხელ როგორღაც თავის სეკრეტრის ცოლი შეჰხვდა ბაღში; კოროლმა დიდი საყვედური უთხრა თურმე მემრე სეკრეტარს ამის გულისთვის. წინად თურმე ქალები არ სძულებია, ცოლის შერთვაცა ჰქონია ფიქრადა, ერთი პრინცესა დაუნიშნავს კიდეცა თურმე, მაგრამ ქალს ულალატნია და ამის შემდეგ კოროლს ცოლის შერთვა სრულიად გულიდამ ამოუღია. ცოტას ხანს გული შეჰვარდნია ერთ გლეხის ლამაზ ქალზე, მაგრამ ამისთვინაც ჩქარა თავი დაუნებებია. ერთად-ერთი ქალი, რომელსაც კოროლი ბოლომდინ პატივს

ლი ფიცრის ტახტები მოსეირნეთა შესასვენებლად. არც ბუფეთი აქვს ამ ბაღს მდაბიო ხალხისთვის გამართული და ამ ბაღს კი ხელოსან ხალხისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მაღალ-წოდებისათვის.

*** ქალაქის გამგეობას ერთი კარგი საქმე დაუწყვია, რომელიც ძალიან სასარგებლოა, როგორც ქალაქის გამშვენიერებისთვის, ისე მცხოვრებელთათვის: ავლაბარში მიუყვია ხელი ქუჩების რიგზე გაყვანისთვის, სადაც სწორე არ არის, იმას ასწორებენო. ფალავანდოვის ქუჩა გაუსწორებიათ და ახლა პაულუჩის ქუჩისთვის მიუყვიათ ხელი. კარგი იქნებოდა აგრეთვე მთა-წმინდის, წყაროს უბნის ქუჩებისთვისაც მიექციათ ასეთი ყურადღება, თორემ ქალაქის ამ ნაწილში ისეთი ვიწრო, უსუფთაო, მიხვეულ-მოხვეული და აღმართ-დაღმართი ქუჩებია, რომ მეტად სამძიმოა იქ სიარული.

*** ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე, ცეცხლის მქრობელის გუნდის სადგომის პირ-და-პირ მიწაა ჩაქცეული იმ ალაგას, სადაც ყოროლანოვის წყლის გასაყვანი მილია გატარებული და აქამდე კი ჯერ ყურადღებას არავინ აქცევდა. ეხლა ქალაქის გამგეობას მიუქცევია ყურადღება და ვალად დაუდვია ყოროლანოვისათვის ამ ადგილის გაკეთება.

*** ჩვენ გვთხოვენ ზოგიერთი ქართველი ვაჭრები გამოვაცხადოთ, რომ რადგანაც ქართულს ენაზე არ არის სახელმძღვანელო ბუჰლალტერიისაო, ძალიან კარგს გვიზმენ ამ საქმის მცოდნე პირნი, რომ შეადგენდნენ სახელმძღვანელოსაო.

*** გაზ. „ახ. მიმოხ.“-ში შემდეგ შეუწყნარებელს საქციელსა ვკითხულობთ პოლიციის მოხელისას: „18 ივნისს, ავლაბრის მეიდანზე შემდეგი ამბავი მოხდა იმ დროს, როდესაც სიცხეში შეკეტილი მცხოვრებლები აგრილებაზე გარეთ გამოიფანტებიან ხოლმე. ერთის სახლის წინ მშვიდად იწვა ძაღლი, პოლიციის მოხელემ იშიშვლა ხმალი და დაუწყო ჩეხვა. როდესაც ძაღლი თითქოს მოკვდა, ზემოხსენებულმა მოხელემ მუშას აჰკიდა გადასაგდებლად. უეცრივ ძაღლი გაინძრა, ხმლიანმა გმირმა ხელ-ახლად მიჰყო ხელი ხმალს და რამდენსამე ალაგას დასჭრა ძაღლი და მოჰკლა. მაყურებლები აღშფოთდნენ ამ სახილველით და მოხელეს ძაღლის მოკვლის მიზეზი ჰკითხეს, და ამან იმითი ახსნა ეს ამბავი, რომ უპატრონო ძაღლი იყოვო.

*** წელს გორის სასულიერო სასწავლებელში, როგორც გვატყობინებენ, სწავლა გაათავეს ცხრა მოსწავლემ; ცხრანივე ქართველები არიან.

*** ხონიდგან გვწერენ, ხონისა და ქუთაისის გზა ვილასაცა აქვს აღებული იჯარით გასაკეთებლად და აგერ ორი წელიწადია ამ იჯარაზედ ჩამი-ჩუმიც არ ისმის, არც გზას აკეთებს და არც მიზეზს აცხადებს ამ გვარის საქციელისას. ამასობაში-კი ერთი რიგიანი ხიდიც არა გვაქვს ამ გზაზე. ბევრჯელ გამოვაცხადეთ მცხოვრებლებმა, გაზეთითაკ კი მივმართეთ მიზეზის ასახსნელად, მაგრამ არც საქმისთვის მიუყვიათ ხელი და არც მიზეზი აუხსნიათო.

*** სიღნაღის მაზრიდამ მოუწერიათ, რომ ამას წინედ, ალაზნის ნაპირას ცეცხლი გაჩნდა და პატარა-საქობოს მცხოვრებელთა ყანები დაიწვაო. ცეცხლმა 340 დღიური ნათესობა გადაჰბუგაო. ზარალი 18,000 მანათამდეაო. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ცეცხლი შიო ჯიბაგაშვილის გაუფრთხილებლობით გაჩენილა. იმავე დღეს, საღამოს 9 საათზედ თუქურმიშაში გაჩნდა ცეცხლი მეჯინიბის ფადეევის გაუფრთხილებლობით, და დაიწვა საჯინიბოვო. ალი იქვე ფიცრულის შენობაზედ გადავიდა და ისიც დასწვაო.

*** ფოთიდამ მოუწერიათ, საქალებო სასწავლებლის სამდლო საზოგადოების კომიტეტმა 17 ივნისს აქ გამართა სეირნობა ლატარიით. შემოსავალი, როგორც ამბობენ, 2,000 მანათამდე იყოვო. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დაიშალა სეირნობით; ზოგიერთნი კი იმაზე იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მარტო პაპიროსები, ერთი ყუთი სპიჩკა და ყინვარ-შაქარი ჰრგებოდათ ლატარიაში.

*** ბორჩალოს მაზრიდამ მოუწერიათ: 13 ივნისის ღამეს ლორისის საპრისტაოში ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა, გულაკარანის მღვდელს ტერ-აკოფ შაგინიანცს შეუცვივდნენ ავაზაკები, მოჰკლეს თვით მღვდელი, გაცარცვეს და იქვე ახლო გერგერის ტყეში შაეფარნენო. ლორისის პრისტავი, ამ საზარელის ამბის გაგებისათანავე, წავიდა ამ ავაზაკების დასაჭერად და ჯერ-ჯერობით კი არაფერი ამბავი ისმისო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფელი ჩხერი.** (შორაპნის მაზრა). 15 ივნისი. ამ ივნისის დაყინებულმა წვიმებმა სწორედ თავი მოგვაბეზრა. კვირაში ორი დღე ვერა ვნახეთ, რომ კარგი ამინდი ყოფილიყოს, სულ გაუწყვეტლივ სწვიმს, თუმცა ყანებს ამისთანა ამინდი მრიელ უხდება, მაგრამ ვენახებს ვნებას აძლევს ამისთანა ცივი წვიმები.

გაზეთის მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ ხარაგაულის სკოლის მასწავლებელმა მ. მ....ძემ სთხოვა მთავრობას დაეთმო ხარაგაულის სკოლისათვის ცოტა სახელმწიფო ადგილი სკოლის მახლობლად ბაღისათვის. ჩვენ როგორც შევიტყვეთ, ადგილი უკვე დაუთმიათ და მასწავლებელსაც დაუწყებინებია ბავშებისათვის ბაღის კეთება იმ ადგილზედ. დიდს გაჭირვებაში არიან ჩვენის სკოლის მოსწავლე შეგირდები სტოლებისა და სკამეიკების უქონლობით, ასე რომ იმისთანა დამტვრეულ სტოლებ-სკამეიკებზედ სხედან უბედურები, რომ დანდობას ვერ ბედვენ ჩამტვრევის შიშით. ეს შეუნიშნავს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს ს. ქორქაშვილს და მოუხსენებია მაზრის უფროსისათვის, რომელსაც ფიცხლივ მოუწერია მამასახლისისათვის, რომ სოფელს გაეკეთებინოს უეჭველად საჭირო ნივთები სკოლისათვის, სკოლას მზრუნველი არა ჰყავს. მამასახლისს მისწერეს აირჩიონ მზრუნველი. მე ვურჩევ სოფელს აირჩიონ მზრუნველად ბლაღოჩინი მღვდელი მ. ერმალოზ ვეფხვაძე, რომელმაც იცის სკოლის ავი და კარგი, შეუძლიან, დაეხმაროს სკოლას როგორც ცოდნით ისე ნივთიერადაც.

დიდ გაჭირვებაში ვართ მთელი ჩვენი საზოგადოება კარგის ხიდის უქონლობით მდ. ჩხერიმელაზედ, რომელზედაც არ შეიძლება მიმოსვლა, თუ წყალმა პატარა მოიმატა. ამის შესახებ ჩვენ დავადგინეთ განაჩენი, რომ თვითეულმა ჩვენთაგანმა გადიხადოს ფული ხიდის გასაკეთებლად.

ეს განაჩენი წარვუდგინეთ მაზრის უფროსს დასამტკიცებლად, დამტკიცებული მივიღეთ და ფულის შეკრებასაც შევუდექით.

ერთი შესანიშნავი ამბავიც. ჩვენებურმა გლეხის ყრუაშვილის ცოლმა შობა სამი ვაჟი. სამივე ჯან-მთელები არიან, კარგადაც იზრდებიან და სრულებიც არიან

ს. ჩხერელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ინგლისს დიდი განსაცდელი, დიდი უბედურება მოელისო. აწინდელი ინგლისი სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს და შემდეგში ხომ უარესს უნდა მოელოდდესო. ინგლისის «დიდი იმპერია» დღეს თუ ხვალ დაირღვევა, ნაწილ-ნაწილად დაიყოფა და სრულიად დაიღუპებაო. ამის ნიშნები დღესვე სჩანსო.

ეს სიტყვები, რასაკვირველია, ჩვენ არ გვეკუთვნის. ასეთი ფიქრები მოჰყვანილია გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ს, ეს გაზეთი უწინასწარმეტყველებს ინგლისს მომავალ უბედურებასა. აი გაზეთი რას ამბობს:

> ინგლისის უკეთესი კოლონიები აზიაშია და აქ კოლონიების გარდა, ინგლისს შიში უნდა ჰქონდეს საფრანგეთისა, რომელიც წვრილმანებში თუ, თორემ უმთავრესში არას დაუთმობსო. ან გერმანიასთან როგორ-ღა მოაწყობს საქმეს ინგლისი? როგორ მოახერხებს ეს ორი სახელმწიფო „დიდ ოკეანის“ კუნძულების გაყოფასა? თუ ინგლისი სრულ ნებას მისცემს გერმანიასა „დიდ ოკეანზე“, ავსტრალიას რაღას ეტყვის? ავსტრალიელებმაც შესაძლოა მოითხოვონ: „დიდი ოკეანი“ ავსტრალიელებისაა და თუ თქვენ ვერა გაგიწყვიათ-რა, ჩვენ თავისუფლება მოგვეცით და ჩვენს საქმეებს ჩვენ თითონ განვაგებთო. თუ ინგლისი ავსტრალიელების საჩივარს ყურს ათხოვებს, მაშინ გერმანია გასწყრება. მეორეს მხრივ საშიშარი ის არის, რომ ავსტრალიის მიბაძვით აფრიკელებიც ხმას აიმოიღებენ და მეტადრე ბოერები, რომელნიც აქამომდინაც ბევრს აწუხებდნენ ინგლისსა.

ერთის სიტყვით, მარცხნივ წახვალ, თუ მარჯვნივ, ყველგან ინგლისის საქმე ცუდად არისო, ინგლისი ნაწიბურებად ირღვევაო, ამბობს ბოლოს გაზეთი.

ჩვენის ფიქრით, გაზეთი ტყუილად სწუხს, ტყუილად უქადის ინგლისის სახელმწიფოს დარღვევასა. ინგლისის უკეთესს მეთაურ კაცებს კარგად ესმისთ სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობა და თუ სასო-წარკვეთილებას არ ეძლევიან მხოლოდ იმიტომ, რომ იციან, რა საშუალებით შეიძლება საქმეს ეშველოს. თუ დააკვირდებიან კარგად დღევანდელს მოძრაობას ინგლისისას, შეიტყობენ, სიკეთის წამალს სად და რაში ეძებენ.

***

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ გაზეთმა «Московскія Вѣдомости»-მ ახალის სამართალის წინააღმდეგ გამოი-

---

სცემდა, ამის ბიძაშვილის ცოლი-პრინცესა გიჟელა იყო. მაგრამ ვაი იმ ნაირ პატივის-ცემასაცა. კოროლი ხშირად შუაღამისას მოისურვებდა ხოლმე პრინცესასთვის თაიგულის გაგზავნას. საბრალო პრინცესა, ღრმა ძილშიაც რომ ყოფილიყო, უთუოდ უნდა ამდგარიყო და საკუთარის ხელით მიეღო თაიგული მეფისგან გამოგზავნილ მსახურისაგან. ეს კიდევ არაფერი. გაზეთები ისეთ უცნაურს ამბავებს მოგვითხრობენ, რომ კაცს არა სჯერა, თუ კოროლი მართლა ამაებს ჩადიოდა. მაგალითად, ამბობენ, რომ კოროლმა ერთხელ განიზრახა ნავში გედი (лебедь) შაება და ისე ეცურნა წყალში, როგორც უწინდელს დროში ამ გვარათვე აჩირებული კაცი, ლოენგრინი, სჩადიოდა. ამასთან კოროლმა მოისურვა, რომ წყალი სადმე მაღლა, ჰაერში, მთვარესთან ახლო ყოფილიყოვო. ამის გულისთვის მიუნხენის სასახლის ბანზე დიდი აუზი გააკეთებინა. კოროლი ლოენგრინივით მოირთო და ბანზე ცურაობა დაიწყო, მაგრამ არ მოეწონა, რომ წყალი ლურჯი არ იყო. წყალი წამლით ლურჯად შეღებეს. ესეც არ იკმარა კიდევ. კოროლმა მოისურვა, რომ აუზი მღელვარე ტბად გარდაქცეულიყო, ბევრი იფიქრეს კარის კაცებმა და ბოლოს ამასაც საშუალება მოუხერხეს. მოიგონეს ერთგვარი მაშინა და ამ მაშინით წყალი აალელვეს. ამ გვარმა ღელვამ კოროლს ერთხელ პატარა უსიამოვნობა მიაყენა: მაშინის მატრიალებლებს ერთგულობა უნდოდათ გამოეჩინათ და წყალი ისე აალელვეს, რომ ნავი გადაბრუნდა და კოროლ-ლოენგრინს ზვირთებში უნებლიედ ბანაობა მოუხდა. ამის შემდეგ კოროლმა ლოენგრინობას თავი დაანება. ზოგჯერ კიდევ ისე იცვამდა თითქოს მთის ქაჯიაო და მთებში ისე დაიარებოდა მარტო.

ახალგაზდობისას კოროლს მოგზაურობა ძრიელ უყვარდა. ხშირად მიდიოდა ხოლმე პარიჟში, ან ვენაში, ხოლო ჩუმად, როგორც კერძო კაცი და არა როგორც მეფე. რამდენსამე კვირას დარჩებოდა ხოლმე აქ და შესანიშნავ რასაცა ჰნახავდა, შინ რომ დაბრუნდებოდა, უთუოდ იმის კეთებას შეუდგებოდა. მაგალითად, როდესაც პარიჟში გამოჩენილი ტიულერის სასახლე ნახა, ამბობენ, ისე მოეწონა თურმე, რომ განიზრახა ბავარიაშიაც ამისთანავე სასახლე დაედგა. თუმცა აუარებელი ფული დაეხარჯა, მაგრამ თავისი წადილი მაინც აასრულა, ააშენა და შიგ კი აღარავინ დამდგარა.

მოგზაურობა ბოლოსაც არ მოსძულდა კოროლს, თუმცა შორს სიარულს კი თავი დაანება. ამის მაგიერ, კოროლი ყოველ დღეს ცხენზე შეჯდებოდა ხოლმე და თავის სასახლეშივე ერთს ამორჩეულს ადგილას ნახევარ საათს გარშემო უვლიდა. მერე მოვიდოდა კონდუქტორად ჩაცმული სასახლის მსახურივე, ცხენ ჩამოართმევდა და ხმა-მაღლივ დაიძახებდა: «ამა და ამ ადგილას მივედითო». ამ სახით კოროლს ეგონებოდა ხოლმე, ვითომ ამა და ამ ქალაქში მივედიო. მაშინვე აქაური მთავრობა, ქალაქის წარმომადგენელნი, მუნდირებში, უნდა მოსულიყვნენ კოროლთან, მოჰხსალმებოდნენ და სიტყვა ეთქვათ. კოროლიც, რასაკვირველია, თავის მხრივ სიტყვას ეუბნებოდა და მადლობას უხდიდა. მკითხველი მიჰხვდება, რომ ყველა ეს ქალაქის უცნაური წარმომადგენელნი იმავე სასახლის მსახურნი იყვნენ.

ბოლოს დროს კოროლის აჩირებული, უცნაური ყოფა-ქცევა ცოტა არ იყოს საშიშარიც გახდა. მოსამსახურეებს შეუბრალებლად სცემდა მათრახით, თუ ამის წადილს იმ წამსვე, ან რიგიანად ვერ აასრულებდნენ. გარდა ამისა კოროლმა წარმოიდგინა, ვითომ ბასტილია აქვს, ის ბასტილია, რომელიც წარსულ საუკუნეში მთელ საფრანგეთს შიშის ზარსა სცემდა და სადაც, ქვესკნელ ჯურღმულში ათასობით ტუსაღი იტანჯებოდა. აი ამ გვარ ვითომ ბასტილიაში, რომელიც, რასაკვირველია, ნამდვილად არა ყოფილა ბავარიაში და მხოლოდ კოროლის მოჩვენებით იყო,—კოროლი ჩაჰსვამდა ხოლმე, ვისაც კი გაუწყრებოდა. დღევანდელი მინისტრები დიდი ხანია ამ მოჩვენებულს ციხეში სხედან. კოროლი ამაზე ვითომ დარწმუნებული იყო და ამიტომ თავის სასახლის დალაქი ჰოპპე მთავარ-მინისტრად მოიწვია და ახალის სამინისტროს შედგენა ამას მიანდო. ეს ჰოპპე ერთად-ერთი კაცი-ღა იყო თურმე ბოლოს, რომელსაც კოროლი სრულიად ენდობოდა.

უკანასკნელ დროს კოროლს თურმე საშინელი ანჩხლობაც დასჩემდა. უბრალო გარემოება საკმაო იყო თურმე, რომ კოროლი გულზე მოსულიყო და წინ-დაუხედავი საქციელი ჩაედინა. მაგალითებრ, მოსამსახურეს სადილზე სამსახურის დროს ხელიდამ ბოთლი დაუვარდა და გატყდა, კოროლი ამ უბრალო გარემოებამ ისე გააცეცხლა, რომ მეორე ბოთლს ხელი დაავლო და მოსამსახურეს თავში სთხლიშა. გულსაც კი ისევ ჩქარა მოიბრუნებდა ხოლმე. ისივე მოსამსახურე, რომელსაც ასე სასტიკად მოეპყრო, მეორე დღეს დაიბარა, ბოდიში მოიხადა იმის წინ და უხვად დაასაჩუქრა.

ასე უცნაურად და უთავ-ბოლოდ ატარებდა კოროლი თავის სიცოცხლეს ბოლომდინ. ამასობაში აუარებელი ფული დახარჯა კოროლმა. როდესაც ხაზინაში ფული გამოილეოდა, კოროლი ვალებს იღებდა. მაგრამ ვალებმაც ვერა უშველეს-რა; კოროლმა ხარჯვაში ზომა არ იცოდა. ძველი მოვალეები ვალებსა სთხოვდნენ და კოროლი კი ეძებდა, კიდევ ვალი სად აეღოვო. ამბობენ, მაგალითებრ, რომ ამ ბოლოს დროს მოლაპარაკება ჰქონდათ გრაფ პარიქელთან, რომლისაგანაც ვითომ 20 თუ 40 მილიონ ფრანკსა სესხულობდნენო.

უთავ-ბოლოდ ფულის ხარჯვამ, დიდ-ძალმა ვალებმა სრულიად გაალარიბეს კოროლის ხაზინა. კოროლის აჩირებულმა, უცნაურმა ყოფა-ცხოვრებამ, უმიზეზო ანჩხლობამ და სასტიკობამ მოთმინებიდამ გამოიყვანა მინისტრები და კარის კაცები. მინი-

ლაშქრაო. მკითხველებს ეხსომებათ, რა იარაღით გამოვიდა გაზეთი, რა მაგალითებით განიზრახა გაზეთმა ახალის სასამართლოს განკიცხვა და დათრგუნვა.

დღეს გაზ. „Русскій Курьеръ"-ი ახალის სასამართლოს მოსარჩლედ გამოდის და „Московскія Вѣдомости"-ს ასეთს პასუხს აძლევს:

რა ჰსურს მითამ სთქვას გაზეთმა ამ აქა-იქ ამოღებულ საეჭვო და სასაცილო ამბებით? ჰკითხულობს «Русскій Курьеръ»-ი. უვარგისობა „ჩვენთა სამოსამართლო დაწესებულებათა", „რომელთა მეოხებით ვითომ ფესვ-მოდგულია ყოველგვარი დანაშაულობა და ზნეობითი ბიწიერება"? მაგრამ ამ გვარ საბუთებს რომ მივაქციოთ ყურადღება, მაშინ ხომ ყოველისფერის დამტკიცება ადვილია. მაშინ ხომ ყოველი, თუნდა რომ სამაგალითო დაწესებულებაც იყოს, უვარგისი გამოდგება მისთვის, რომ იგი, როგორც ადამიანის ჭკუის და ხელის ნამოქმედარი, არასოდეს არ იქნება სრული და წუნდაუდებელი. კერძო „შემთხვევანი" და «სასაცილო ამბები» იქაც იჩენენ თავს. იმათ მიხედვით იმ აზრის გამოთქმა, რომ „ჩვენს სამსჯავროებში აჰყვავებულია ყოველ ნაირი დანაშაულობა და ავ-ზნეობა" შეუძლიან მხოლოდ კაცს, რომელსაც განზრახვა აქვს ჩირქი წასცხოს ამ ახალს სამართალსა და რომელიც თვალს არ ადევნებს უტყუარ ამბების ნამდვილს მნიშვნელობასაო."

# უცხოეთი

### სიტყვა გლადსტონის-მიერ თქმული ედინბურგში.

ივნისის 7-ს, საღამოთი, გლადსტონმა წარმოსთქვა ქალაქს ედინბურგში თავისი პირველი სიტყვა თავის ამომრჩეველთა წინაშე.

თავდაპირველად, როდესაც წარუდგინეთ ირლანდიის თვით-მმართველობის საქმე პარლამენტსა, დარწმუნებული ვიყავით, სთქვა გლადსტონმა: რომ ხმა ხალხისა იქნებოდა ირლანდიისაკენ, გავიმარჯვებდი და საქმეს მოუგებდი ლიბერალთა დასის მეთაურთა. საქმის კეთილად დაბოლოვებისათვის სასურველი იქნებოდაო, რომ ეს ხანგრძლივი უთანხმოება, რაც შეიძლება მალე მოსპობილიყო.

გლადსტონი ემუდარებოდა ინგლისის ერს, რომ გამოეთქვა თავისი აზრი გადაწყვეტით და სრულიად გულ-ახდით ამისთანა საჭირო საგნის თაობაზე, თორემ მოწინააღმდეგე დასთა სამწუხარო ცილობისა გამო საზოგადო საქმეთა მსვლელობა შესდგებაო; საზოგადო ნდობა შეირყევაო და ირლანდიის მშვიდობიანობა დიდს განსაცდელში ჩავარდებაო. როდესაც კი საქმე გადაწყდება, ჩვენვე გაგვიკვირდება ჩვენი ესლანდელი ღელვაო. ბევრს ხერხს ხმარობენ, რომ საქმე გაამნელონ ამომრჩეველთათვის მაშინ, როდესაც საქმე თავის-თავად სრულიად მარტივი და ცხადიაო.

საქმე იმაშია, სთქვა გლადსტონმა, რომ განვმარტოთ, თანხმანი ვართ თუ არა, ირლანდიას მიეცეს კანონ-მდებლობითი პარლამენტი, რომელსაც ექმნება განსაკუთრებით ზედამხედველობა საკუთრივ ირლანდიის საქმეებისაო. ასეთია დედა აზრი, და მართებლობა მზადაა მიიღოს ყოველივე წინადადება, რომელიც ამ საქმეს მოუხდება; ის საქმე, რომელიც თქვენ უნდა გარდასწყვიტოთ, დამყარებულია სიმართლეზე, და ამომრჩეველთ ყველაზე უკეთესად შეუძლიანთ გარდასწყვიტონ ეს საქმე დედა-აზრის მიხედვით.

დაწვრილებით საქმის გარჩევა პარლამენტის მოვალეობააო.

შემდეგ გლადსტონმა მიჰმართა კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთა და მათი მოქმედება უწყალო განკითხვას მისცა.

უნდა გახსოვდეთ, განაგრძო ორატორმა,—რომ უკანასკნელ ამომრჩევლობის ჟამს, მე თუმცა გთხოვეთ მიგენიჭებინათ ლიბერალური დასისათვის დიდი ძალა და პარნელისაგან იგი დაუმოკიდებელი გაგეხადნათ, და ეს შეასრულეთ კიდეც,—მაგრამ მე არასოდეს არ დავმდურებივარ პარნელს, რომ იგი ცდილობდა ადრინდელი მთავრობა მიემხრო, არც მთავრობა გამიკიცხავს, რომ გამოწვდილი ხელი პარნელისათვის ჩამოერთმია. არც ერთი ამის მსგავსი სიტყვა მე თქვენს წინაშე არ წამომცდენია თავის დღეში, ხოლო ჩვენთვის ძალიან საჭირო კი იყო შეგვეტყო, რა ჰხდებოდა მათ შორის. როგორც თქვენც უწყით, პარნელი ამტკიცებდა, რომ ერთი წევრთაგანი ადრინდელის მართებლობისა, ლორდი კარნარვონი, როგორც შემდეგში აღმოსჩნდა, ეუბნებოდა პარნელს, რომ კონსერვატორები, უკეთუ არჩევანში გაიმარჯვებდნენ, მზად არიან მიანიჭონ ირლანდიას რამდენადმე თვით-მმართველობა. ლორდი კარნარვონი უარ-ჰყოფს ამას. პარნელი კი თავისას ამბობს. პირველი პატივცემული ჯენტელმენია, მეორე გამოჩენილი კაცი, და ეჭვი არ არის, რომ ორივე მართალს ამბობენ, რაც უნდა სთქვან და ეკამათნენ ერთმანეთს. ლორდი კარნარვონი ამბობდა იმას, რაც პარნელისათვის არ უთქვამს; ის იმასაც ამბობდა, რომ სამინისტროსათვის არ შემიტყობინებია ჩემი პარნელთან ნალაპარაკევიო. ამას გარდა ლორდმა კარნარვონმა გვაუწყა ერთი მეტად საყურადღებო ამბავი. მან გვაუწყა, რა თვალითაც უყურებდა იგი ირლანდიის საქმეს, როგორც ირლანდიის მთავარმართებელი და წევრი ადრინდელის სამინისტროსი. მან გვაუწყა, რომ თანავუგრძნობდი პროექტსაო, რომელიც ირლანდიელთ მოთხოვნილებათა შეეფერებოდა და რამდენადმე გულს მოუგებდა მის ეროვნულს სურვილსაო. იქნება, ეს არც კი მოეწონოს ლორდ კარნარვონსა, მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ იგი, სჩანს, ჩვენთაგანია, და არა იმათთაგანი, რადგანაც მზად ყოფილა წამალი დასდოს ირლანდიის საჭიროებას, თვით-მართველობის საქმეში. აქ ცოტა ხმაურობა და ჟრიამული შეიქმნა, ასე რომ გლადსტონი იძულებული იქმნა რამდენსამე წამს დაყოვნებულიყო.—მე სწორედ გითხრათ, ძალიან მიხარიან, რომ ლორდ კარნარვონს საკამათო არა ჰქონია-რაო და იგი თურმე ჩვენი თანამოაზრე ყოფილა. ლორდი გარტინგტონი კი ყოველ-ნაირად პირს უჩვრის, რომ არა სთქვას-რა მასზედ, ჰსურს, თუ არა, რაოდენათმე მხარი მისცეს ეროვნულს წადილს ირლანდიისას. სწორედ ასე მოიქცა ჩამბერლენიც. მერწმუნეთ, ბატონებო, რომ სწორედ ამ აზრისაა ლორდი კარნარვონი. ეს კიდევ არაფერი, სიტყვაც სწორედ ასეთივე ჰქონდა ნათქვამი. ხოლო მე მსურს მივაქციო ყურადღება, განსაკუთრებით თვით მისი ყურადღება იმაზე, რაც იმას არ უთქვამს. იმას არ უთქვამს ლორდთა პალატაში ის, რაც უთქვამს პარნელისათვის (აქ ტაში დაუკრეს). მე დარწმუნებული ვარ, ბატონებო, და მინამ წინააღმდეგს არ დამიმტკიცებენ, დარწმუნებულიც ვიქმნები, რომ ის ეუბნებოდა პარნელს, მზადა ვარ თვით-მმართველობის საჭიროებას ირლანდიისას ხელი შევუწყო, მზადა ვარო ცოტად თუ ბევრად გზა გავუხსნაო მის ეროვნულს სურვილსაო. ახლა ვნახოთ ასეა, თუ არა. საჭიროა ვიცოდეთ, იყო თუ არა კარნარვონი ერთობის მშლელი, დამრღვეველი და გამანაწილებელი იმპერიისა, როგორც დღეს ჩვენ გვწამებს. სასურველია შევიტყოთ, როგორ მოხდა, რომ ტორიები ერთად ისხდნენ სამინისტროში და ვინც იმპერიას და ერთობას არღვევდა, ისინი შეიშვნიეს და იქიდამ არ გამოაგდეს? (აქ კიდევ ტაში დაუკრეს). მინამ არ გადამარწმუნებენ, მე ვამტკიცებ, რომ ლორდმა კარნარვონმა აუწყა ლორდს სალისბურს ყველაფერი, რადგანაც ეს მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. მოსაფიქრებელი არ არის, რომ მაგისთანა რამ პარნელისათვის ეთქვა, და მართებლობის მოთავისათვის კი დაემალნა. რადგანაც იგი პატიოსანი კაცია და რადგანაც მე ეჭვი არა მაქვს, რომ მას კარგად ესმის თვისი მოვალეობანი მთავრობის მოთავის მიმართ, ამიტომ არა მჯერა რომ მას თვისი ლაპარაკი პარნელთან სალისბიურისთვის არ შეეტყობინებინოს. ეხლა ვიკითხავ: მართლა უთხრა სალისბერის, თუ არა? თუ არ უთქვამს და საიდუმლოდ დაიმარხა გულში, მაშინ რაც ენებოს იგი სთქვას. ხოლო თუ მან უამბო ლორდს სალისბურს, გამოდის, რომ ლორდმა სალისბურმა, რომელიც ჩვენ ბრალსა გვდებს, ვითომ დარღვევა გვინდოდეს იმპერიისა, იცოდა, რომ მის ამხანაგს ჰქონდა კავშირი პარნელთან, ამ დიდს დამრღვეველთან და განმანაწილებელთან და უთქვამს ცოტად თუ ბევრად თანაზიარი ვარო შენის აზრისაო, რომ ირლანდიის ეროვნულს სურვილს ეშველოს რამეო (სმენა იყოს, სმენა! გაისმა ხალხში). მე არასფერი ისე არა მსურდა-რა, როგორც ის, რომ ამ მხრივ შევეწყობოდი ლორდს კარნარვონს; ხოლო მე ვამბობ, თუ იგი იდგა ამ აზრზედ ირლანდიის შესახებ იმ დრომდე, ვიდრე არჩევანი გათავდებოდა და ორმოცი მომხრე დეპუტატების ადგილი ტორიებს დარჩებოდათ და ამისთვის ეტბიერებოდა და ეკურკურებოდა პარნელს,—მაშინ ადვილად ვერ მოგვცემს ანგარიშს ვერც უწინდელის და ვერც აწინდელის საქციელისას. რამდენადაც კი ჩემზეა დამოკიდებული, მე მზადა ვარ გიშველოთ თქვენ, აღგიხსნათ ეს საქმე იმ საკითხავებით, რომელზედაც მე პასუხს ვითხოვ:

რა უთხრა ლორდმა კარნარვონმა პარნელს? აუწყა ვისმე ლორდმა კარნარვონმა თვისი საუბარი პარნელთან? რა პოლიტიკა წარმოუყენებიათ დღეს ქვეყნისათვის აღმოსარჩევად? უნდა მოგახსენოთ, რომ მრავალი საქმე, აზრი, იდეა წარმოუდგენიათ თქვენთვის ვითომ-და ორში ერთი ამოსარჩევი მაშინ, როდესაც ამოსარჩევს არას იძლევიან. მე ძალიან ვსწუხვარ, რომ იმათ სახელთან ერთად უნდა ჩავაბა სახელი ერთის ისე დიდად პატივცემულის კაცისა, რომლის მსგავსიც სხვა ბევრი არ შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში. ეგ სახელია ყოფილის ჩემის ამხანაგისა და ესლანდელის მეგობრის ლორდის გარტინგტონისა. მე ეხლა გარტინგტონის პროექტზე უნდა დავიწყო ლაპარაკი. უნდა მოგახსენოთ, რომ ლორდ გარტინგტონმა ამ სამის წლის წინად პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ არც ბევრი, არც ცოტა არ უნდა დაეთმოს ირლანდიას თვით-მმართველობის საქმეში იმ დრომდე, მინამ არ შესცვლის იგი მირყეულად თავის ყოფა-ქცევას, მინამ ეროვნობის მომხრე წევრნი პარლამენტისა არ შეინანებენ წარსულს და სხვაფრივ არ დაიწყებენ მოქმედებასაო.

ამასთანა სათავე ჰქონდა ლორდ გარტინგტონის აზრსა. მინამ სრულიად რიგზე არ მოიქცევიან, არაფერი არ უნდა მიეცეთო. ისინი არ მოიქცნენ და არც ჰსურთ მოქცევა. საქმე სულ სხვა ნაირად დატრიალდა, ეროვნობის მომხრენი არა სცხრე-

---

სტრებმა ველარ გაუძლეს კოროლის წრეს-გადასულს საქციელს და განიზრახეს მისი ტახტიდამ გადაყენება.

მიზეზი გადაყენებისა მართლა ეს არის, თუ არა ნამდვილი არავინ იცის. მხოლოდ ეს კი მართალია, რომ ამ საქმეში დიდს მონაწილეობას იღებდა კოროლის ბიძა—პრინცი ლუიტპოლდი. შესდგა მიუნხენში მინისტრების კრება, რომელმაც შემდეგი გარდასწყვიტა: „ეჭვი არ არის, რომ კოროლი ლუდვიგ II ჭკუაზე შეშლილიაო და ამიტომ უნდა ტახტიდამ გადავაყენოთო." ამის შემდეგ დანიშნეს კამისია, რომელსაც ეს გარდაწყვეტილება კოროლისთვის უნდა შაეტყობინებინა. კამისიის მოთავედ გრაფი ჰოლშტეინი იყო. როდესაც კამისია კოროლთან მივიდა და ეს ამბავი მიუტანა, კოროლი საშინლად აღელდა, გაცეცხლდა, დამბაჩა აიღო ხელში და მამაცად დაუყვირა: «ვინც ჩემ დაჭერას გაჰბედავს, აქედამ ცოცხალი ველარ გავაო.» კამისია შეფიქრდა და უკან დადგა. მერე გულ-მოსულმა კოროლმა ბრძანება გასცა, რომ მთელი კამისია საპყრობილეში დაემწყვდიათ და გრაფ ჰოლშტეინისთვის თვალები დაეთხარათ. რასაკვირველია, ეს ბრძანება სისრულეში არ მოიყვანეს: კოროლმა დეპეშა გაგზავნა და ჯარები დაიბარა,—დეპეშა გზაში დაიჭირეს. კამისია ამავე დროს ფიქრობდა, რაიმე სახსარი ეღონა, რომ კოროლი დაემორჩილებინათ. აი ბოლოს ეს ხერხი მოიგონეს: გუდდენმა, იმ გუდდენმა, რომელიც ბოლოს კოროლთან ერთად დამრჩვალი იპოვეს, და ერთმა სხვა კამისიის წევრმა სასახლის მსახურის ტანისამოსი გადიცვეს, ამ სახით შეუტყუვდნენ კოროლსა. კოროლს რაკი დაუნახავს, რომ შველა აღარსაიდამ მოელის, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია გუდდენისთვის. კოროლმა ერთბაშად ისე იცვალა ფერი, ისე მშვიდად და გულ-დაწყნარებით აჩვენებდა თავსა, რომ ყველა ამის მნახველი განცვიფრებაში მოდიოდა. ყველას ეგონა, რომ კოროლი სრულიად დაემორჩილა თავის ბედის თავგარდასავალსაო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ყველანი მოსტყუვდნენ. გარეგანი სიმშვიდე მხოლოდ ჰფარავდა იმ ცეცხლსა, რომელიც კოროლს გულში აღგზნებოდა. ვინ ჩაიხედა კოროლის გულში, ვინ ნახა, რა ცეცხლი ტრიალებდა იქ? ან კი როგორ სჯეროდათ, რომ ვითომ კოროლი სულით სრულიად მშვიდად იყო: კოროლი, რომელსაც ბძანების მეტი არა სცოდნია-რა, კოროლი, რომელსაც ყოველს წადილს თვალის დახამხამების უმალ უსრულებდნენ,—ეს კოროლი, ვამბობთ, ეხლა უნდა ემორჩილებოდეს ვიღაც გუდდენის ბძანებასა? შექსპირის კოროლი ლირი ამ გვარსავე მდგომარეობაში, წყევასა, ცისა და მიწის რისხვას უქადდა ადამიანის უმადურებასა და მუხთალ ბედის ტრიალსა და ნუ თუ მარტო კოროლი ლუდვიგი, ეს ყოველ შემთხვევაში დიდ-ბუნებიანი მეფე, ესე ადვილად დაემორჩილებოდა თავის ბედის-წერასა, რომელმაც ასე უცბად უმტყუნა? ამის სიკვდილმა სრულიად წინააღმდეგი გვიჩვენა.

კოროლი მაშინვე „Berg"-ის სასახლეში გადიყვანეს, რომელიც ზემოდ ავწერეთ. კოროლს გუდდენი მიუჩინეს, როგორც ჭკუაზე შეშლილების ექიმი. გუდდენი კოროლს არა ჰშორდებოდა და განუწყვეტლივ უკან დასდევდა. კოროლს, რომელიც მარტოობას იყო დაჩვეული, ძალიან აწუხებდა, თავს აბეზრებდა ასეთი უკან დევნა. გუდდენი შესძულდა და გული ემღვრეოდა ამაზედ. მით უფრო უნდა შესძულებოდა ეს კაცი, რომ კოროლს გარდაწყვეტილად განეზრახა თავის მოკვლა და გუდდენი ამის ხელის შემშლელი იყო. კოროლმა პირველად კოშკიდამ გადმოვარდნა განიზრახა, მაგრამ ვერ მოახერხა: წინათვე შეუტყეს და ხელი შეუშალეს. ბოლოს კოროლმა თავის განზრახვა მაინც შეასრულა, მაგრამ სხვა ნაირად.

3 ივნისს, ოთხის საათის მაგიერ, როგორც ჩვეულებადა ჰქონდა, კოროლმა ადრე მოითხოვა სადილი. სადილის შემდეგ, კოროლმა გასეირნება მოიწადინა, მხოლოდ სთხოვა კი გუდდენსა, რომ ხალხი არავინ წამოეყვანა. ამასთან ბძანება მისცა, რომ საღამოს რვა საათისთვის ვახშამი მოემზადებინათ. კოროლი და გუდდენი ტბის ნაპირას სეირნობდნენ. აი გადის დრო, შვიდი საათიც შესრულდა, მერვეც დაიწყო, მაგრამ სასახლეში ვახშამზე ტყუილად ელიან: არც კოროლი და არც გუდდენი არსად სჩანან. ბოლოს წავიდნენ საძებნელად და, როგორც ზემოდ შევიტყეთ, ორივე წყალში დამრჩვალი იპოვეს.

როგორ მოხდა ეს ამბავი? ამის პასუხი ნამდვილად მხოლოდ ან თვით კოროლს, ან გუდდენს შეეძლო ეთქვათ. მაგრამ ორივეს პირი შეკრული აქვთ და ვერაფერს გვიამბობენ: ეს საიდუმლო ამათ თან წაიღეს საიქიოს.

მხოლოდ ფიქრობენ, რომ საქმე ასე უნდა ყოფილიყო: როდესაც კოროლი და გუდდენი წყალზე ახლო იყვნენ, ეტყობა კოროლმა წყლისკენ გაიწია თავის დასარჩობად. გუდდენი გამოუდგა და პალტოში ხელი წაავლო. მაგრამ კოროლს ისეთის ძალით გაუწევია კიდევ წინ, რომ პალტო და სერთუკი ერთად გაჰხდია და გუდდენს ერთს თითზე ფრჩხილი მოუტეხნია. გუდდენს, გარდა ამისა, ცხვირზე და შუბლზე რამდენიმე ნაკაწრი აქვს. ამას იმითი ჰხსნიან, რომ კოროლსა და გუდდენს ეტყობა ბრძოლა ჰქონდათო და, როგორცა სჩანს, შიგ წყალშივეო. ეტყობა კოროლს ჯერ გუდდენი ჩაურჩვია და მერე თითონ უფრო ღრმა ადგილას შესულა და დამრჩვალა. საკვირველი კიდევ ის გარემოებაა, რომ კოროლიცა და გუდდენიც მაღალის ტანისა იყვნენ და იმ ადგილას კი, სადაც ესენი დამრჩვალან, წყალი ღრმა არ არის. როდესაც დამრჩვლები იპოვეს, პირ-დამხობილნი ყოფილან და წყალს ზემოდ მხოლოდ ზურგი უჩანდათ. თავი, ხელები და ფეხები წყალში ჰქონდათ ჩაკიდული. თითქმის ერთს საათს ცდილობდნენ, ყველა საშუალება იხმარეს ექიმებმა, რომ დამრჩვლები აგები როგორმე გაეცოცხლებინათ, მაგრამ ამაოდ ჩაუარათ ცდამ: მკვდრებს სიცოცხლე ველარ დაუბრუნეს. შუა ღამის თორმეტს საათზე შეამოწმეს კოროლის სიკვდილი და მიუნხენში დეპეშა გაგზავნეს.

ამ სახით უკანასკნელი მოქმედება რომელიც 22 წელს მიმდინარეობდა, პატარა ტბაში გათავდა!..

დონ-იაგო

...ადნენ, თხოულობდნენ თავისას, უფრო და უფრო გაუკეთურდნენ, თავ-გამოდებით უშლიდნენ ინგლისის პოლიტიკის მსვლელობას, სცდილობდნენ ღონე გამოელიათ აღმასრულებელის ძალისათვის და დაებრკოლებინათ მართლ-მსაჯულება ირლანდიაში. ცხადია, იგინი ერთი იოტის ტოლადაც არ გამოკეთდნენ ლორდ გარტინგტონის თვალში იმას შემდეგ, რაც ლორდმა გარტინგტონმა ესა სთქვა. სწორედ იმ დროს, როცა იმათ უფრო ურიგოდ დაიწყეს ქცევა, ლორდმა გარტინგტონმა მათკენ დაიწყო გადახრა. შარშან იგი უკვე იმ აზრისა გაჴსდა, რომ ჩვენ შეგვიძლიან მივანიჭოთ ირლანდიას უფლება თავის საქმეებზე თვალი თვით ეჭიროსო. ბელფასტში კი ამბობდა: «ირლანდიას ასე უცბად ვერ მივანიჭებთ სრულს უფლებას, რათა მთლად მარტო მას ეჭიროს თვალი თავის საკუთარს საქმეებზედაო. ეს თან-და-თანობით უნდა მოხდესო.» ლორდს გარტინგტონს, ეტყობა, უსათუოდ ეგონა, რომ იგი თან-და-თანობა ადვილად მოსახერხებელი საქმეაო. მეორეჯელ, სხვა ალაგას, სთქვა, რომ მე მსურსო ძირეულად გადავაკეთო და შევსცვალო ირლანდიის მმართველობის საქმეო. თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ამისთანა საოცნებო აზრი თავის დღეში არც არავის და არც როდისმე მოსვლია თავში. მე ნათლად დაგანახვეთ, რის მოცემა ჴსურს მთავრობას და რისა—ლორდს გარტინგტონსა თავის მხრივ. ეხლა ის როდიღა ჴქადაგობს თან-და-თანობას. თავის მანიფესტში, რომელიც გუშინ გამოსცა, იგი ამბობს, რომ ზოგიერთა უფლებანი,—რომელთაც არ ამჟღავნებს,—უნდა მიენიჭოს ზოგიერთს სამმართველოსა. რომელს სამმართველოს არც ამას ამბობს და აი ამისთანა კანონ-პროექტით გამოდის ახლა. ახლა მე თქვენ გკითხავთ, რას უნდა გამოველოდეთ იმ კაცისაგან, რომელიც თავის აზრებს სცვლის ალაგ-ალაგ კი არა, მთლად, ძირეულად, რომელმაც ერთხელ სთქვა, რომ არაფერი არ უნდა მივცეთო,—მეორედ სთქვა, თან-და-თანობით მივცეთო, ახლა კიდევ შესცვალა აზრი და სრულიად გულ-უბრყვილოდ ამბობს, რომ ზოგიერთებს შეიძლება მიეცესთ უფლებანიო, იმას კი აღარ გვეუბნება: რა უფლებებს იძლევა და ვინ არიან ეს ზოგიერთები? ბატონებო, ყველა ეს კანონ-პროექტები ერთი-ერთმანერთს არღვევენ; ისინი ეკუთვნიან მხოლოდ ერთს კაცსა და მეტად შესანიშნავს კაცსაც; მაგრამ არავისგან კი არ არიან შეწყნარებულნი. ბატონებო, აი მე თქვენ რაში უნდა დაგეკითხოთ: გსურთ, დამთავრებული კანონ-პროექტი გქონდეთ, თუ არა? ჩემ მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი ირლანდიამ მოიწონა. რაღა უნდა ვთქვათ იმ კანონ-პროექტებზე, რომელსაც თვითეული ირლანდიის წარმომადგენელთაგანი უარ-ჰყოფს და არ ეთანხმება.

ბატონებო, ეს სოდ საქმის სასაცილოდ აგდებაა და სხვა არაფერი..! (ისმის ტაშის ცემა).

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

19 ივნისს

**პეტერბურგი.** გამოცხადდა დადგენილობა მინისტრთა კომიტეტისა. ამ დადგენილობის ძალით ფინანსთა მინისტრს უფლება ეძლევა, რომ, დროებით, ვიდრე სამუდამო წესები გამოიცემოდეს საკანონ-მდებლო გზით, მიეცეს საადგილ-მამულო ბანკებს ნება-რთვა უკეთუ კრება ამ ბანკების წევრთა ითხოვს შემდეგს: 1) შედავათი აღმოუჩინონ იმ მსესხებელთ, რომელთაც არა-ჩვეულებრივი უბედურება ეწვიათ. ამ გვარ პირთ შეიძლება ის შეღავათი აღმოეჩინოს, რომელიც მოხსენებულია თავად-აზნაურთა სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის წესდების 54 მუხლში და 2) გადახდეს ყველა უპირულ მსესხებელთ ჯარიმად მხოლოდ $\frac{1}{2}$% გადასახდელის ფულისა პირველ თვის განმავლობაში მას შემდეგ, როცა შეტანილი უნდა ყოფილიყო ის გადასახადი.

**ზანზიბარი.** რუსეთის მოგზაური იუნკერი იმყოფებოდა ამ უკანასკნელს დროს კოროლის უნიოროს სამფლობელოში; ეს კოროლი დამარცხებულ იქმნა უგანდის კოროლის მიერ, მაგრამ იუნკერთან ერთად თავს უშველა. კოლექცია იუნკერისა დაიკარგა, მაგრამ თავისი დღიური კი გადაარჩინა.

21 ივნისს

**პეტერბურგი.** რუსეთის ელჩი კონსტანტინეპოლისა ნელიდოვი მოვიდა პეტერბურგს და ათის დღის შემდეგ დაბრუნდა უკანვე.

**რომი.** ხოლერა კიდევ მოქმედობს ბევრს იტალიის ქალაქში. ვენეციაში ცოტანიღა ხდებიან ავად ახე, რომ სათქმელი არ არის. ხოლო ფრანკავილში ავად გახდა 53, მოკვდა 17-ი, ლატინაში ავად გახდა 100 და მოკვდა 21.

**ლონდონი.** გუშინ დაიწყეს არჩევანი ახალის პარლამენტისათვის. ჯერ ხანად ამორჩეულ არიან 15 კონსერვატორი, 8 წინააღმდეგი ლიბერალი, 8 სამინისტროს მომხრე და 2 პარნელისტი. ამორჩეულთა შორის არიან ჩამბერლენი და ბრაიტი.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

**ივნისი 30 დღით არის.**

**21 შაბათი.** წმ. მოწამე იულიანე, ტერენტისა; წმ. საქართველოს მეფეთა: არჩილ, ლუარსაბისა. სომეხთა: წმ. დიდის ნერსეს მამა მთავარისა; და ეპისკ. ზადეხი; კათოლ. ალოიზია და ავრელინისა. მუსულმ. 1 დღე თთვისა შევვალ 1303 წ. ჰიჯრისა—1 დღე ორუჯ—ბაირამისა. 1 იდულ-ფიტრ, გახსნილება. რუსის ჯარმა დაიპყრა დარუბანდი 1805 წ. „ამიერ კავკასიის მახარებლის“ ბეჭდვა დაიწყო ტფილისში 1836 წელს. იალბუზზე ასვლა აკადემიკოსთ: კუპფერისა, მეიერისა და ლენცისა 1829 წელს. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—55. ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 6—29 ჩადის 8—29 ღ.

**22 კვირა.** მოწამე ევსევი ეპისკოპოსისა. სომეხთა: ალების-ლამე წმ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. კათ. პავლინისა და ფლავიოსისა. მუსულმ. 2 დღე ორუჯბაირამისა. 12 დღეს ერტუა რუსის ჯარი ანაპას და ხუთჯერ მიიტანეს იერიში. ქალაქი აღებულ იქმნა 22 ივნისს დილის 8 საათზე. დატყვევებულ ოსმალოს ფაშათა შორის იყო ცრუწინასწარმეტყველი მანსურიც, რომელიც პეტერბურგს გაიგზავნა 1791 წ. ფიცხელი ომი გაიმართა ეჩმიაძინის მიდამოთა-შორის საქართველოს მთავარ-მმართებელის თავ. ციციშვილსა და სპარსთა შუა. სპარსნი სცდილობდნენ, რომ წყალი გადაეგდოთ ეჩმიაძინიდამ 1804 წ. ჭეშ. მარიტი შუადღე 12—4—6. ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 7—40; ჩადის 9—25 ღ.

**23 დღე ორშაბათი.** ქალწულ-მოწამე აგრიპინასი. სომ. წმ. ეპიფანე კვიპრელისა, ბაბილასი და სხვათა. კათოლ. აგრიპანასი, ზენონისა და ზენასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—17-ს ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7—37. მთვარე ამოდის 8—48; ჩა-2—57 ღ. პოლკოვნიკი კარიაგინი გაემართა განჯიდამ შუშის გზით მაიორ ლისინევიჩთან შესაერთებლად. სულ 400 ჯარის კაცი ჰყავდა. აზრად ჰქონდა სპარსნი შეეყენებინა, რადგანაც მრავლად ამხედრებულიყვნენ და უნდოდათ საქართველოს დასხმოდენ თავსა. უცებ დიდ-ძალი სპარსნი დახვდნენ. კარიაგინმა მოიგერა სპარსნი და იარა თავისა გზით. ამით დაიხსნა საქართველო სპარსთა თავს დასხმისაგან 1805 წელს.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ | | | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | | . | $2\frac{1}{2}$ » |
| » | » 2 | » | 2 » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | $4\frac{1}{2}$ » |
| » | » 2— | | 3 » |
| » | » 3 | » | $2\frac{1}{2}$ » |

ჯვარის მამის პურის ღავაში

| | | |
|---|---|---|
| 1-ლის ხარისხისა | . . | $4\frac{1}{2}$ » |
| მე-2 ხარისხისა | . . | $3\frac{1}{}$ » |
| მე-3 — | . . . | 3 » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 » |
| » 2 | » | 7 » |
| სუკი | . . . . | 14 » |
| ცხვრის ხორცი | . . . | 7 » |

# მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 35 | ბათუმი . . | — | — | 8 | 35 |
| ავჭალა. . . | 8 | 52 | 8 | 55 | ქობულეთი . | 9 | 25 | 9 | 28 |
| მცხეთა. . . | 9 | 13 | 9 | 21 | ნატანები . . | 9 | 54 | 9 | 57 |
| ქსანი . . . | 9 | 39 | 9 | 41 | სუფსა . . | 10 | 21 | 10 | 27 |
| კასპი. . . | 10 | 6 | 10 | 9 | ლანჩხუთი . | 11 | — | 11 | 3 |
| გრაკალი . . | 10 | 29 | 10 | 31 | ნიგოითი . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| გორი . . . | 10 | 54 | 11 | 4 | საჯავახო. . | 11 | 39 | 11 | 41 |
| ქარელი . . | 11 | 33 | 11 | 36 | სამტრედია | 11 | 56 | 12 | 15 |
| გომი . . . | 12 | — | 12 | 4 | კოპიტნარი . | 12 | 35 | 12 | 37 |
| ხაშური . . | 12 | 21 | 12 | 41 | რიონი . . . | 1 | 7 | 1 | 20 |
| სურამი . . | 12 | 53 | 12 | 56 | აჯამეთი . . | 1 | 32 | 1 | 34 |
| ფონი . . . | 1 | 24 | 1 | 27 | ყვირილა . . | 2 | 11 | 2 | 26 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 14 | 2 | 34 | ძირულა . . | 3 | 4 | 3 | 6 |
| მარელისი . | 3 | 3 | 3 | 5 | ბელაგორი . | 3 | 33 | 3 | 36 |
| ბელაგორი . | 3 | 32 | 3 | 35 | მარელისი . | 4 | 3 | 4 | 5 |
| ძირულა . . | 4 | 2 | 4 | 5 | ბეჟათუბანი | 4 | 34 | 4 | 54 |
| ყვირილა. . | 4 | 43 | 4 | 58 | ფონი . . . | 5 | 41 | 5 | 44 |
| აჯამეთი . . | 5 | 35 | 5 | 37 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 12 | 6 | 15 |
| რიონი. . . | 5 | 49 | 6 | 4 | ხაშური . . | 6 | 27 | 6 | 42 |
| კოპიტნარი . | 6 | 34 | 6 | 36 | გომი . . | 6 | 59 | 7 | 3 |
| სამტრედია . | 6 | 56 | 7 | 16 | ქარელი . . | 7 | 27 | 7 | 30 |
| საჯავახო. . | 7 | 31 | 7 | 33 | გორი . . . | 7 | 59 | 8 | 9 |
| ნიგოითი . . | 7 | 56 | 7 | 59 | გრაკალი . . | 8 | 32 | 8 | 34 |
| ლანჩხუთი . | 8 | 10 | 8 | 14 | კასპი. . . | 8 | 54 | 8 | 57 |
| სუფსა . . . | 8 | 47 | 8 | 55 | ქსანი . . . | 9 | 22 | 9 | 24 |
| ნატანები . . | 9 | 19 | 9 | 22 | მცხეთა. . . | 9 | 42 | 9 | 48 |
| ქობულეთი . | 9 | 48 | 9 | 51 | ავჭალა. . . | 10 | 6 | 10 | 8 |
| ბათუმი . . | 10 | 41 | — | — | ტფილისი . | 10 | 25 | 10 | 55 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 15 | სურამი. . . | — | — | 2 | 35 |
| ავჭალა . . | 3 | 38 | 3 | 41 | ხაშური . . | 2 | 47 | 3 | 2 |
| მცხეთა . . | 4 | 6 | 4 | 16 | გომი . . . | 3 | 26 | 3 | 31 |
| ქსანი . . . | 4 | 42 | 4 | 45 | ქარელი . . | 4 | 5 | 4 | 12 |
| კასპი . . . | 5 | 20 | 5 | 25 | გორი . . . | 4 | 53 | 5 | 8 |
| გრაკალი . . | 5 | 53 | 5 | 56 | გრაკალი . . | 5 | 40 | 5 | 45 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 28 | 6 | 43 | კასპი . . . | 6 | 13 | 6 | 19 |
| ქარელი . . | 7 | 24 | 7 | 29 | ქსანი. . . | 6 | 54 | 6 | 57 |
| გომი . . . | 8 | 3 | 8 | 7 | მცხეთა . . | 7 | 23 | 7 | 33 |
| ხაშური . . | 8 | 31 | 8 | 46 | ავჭალა . . | 7 | 58 | 8 | 1 |
| სურამი . . | 8 | 58 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | | |


# განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ამ წლის 24 ფებერვალს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრის ძალით საქალაქო გამგეობა ვალ დებულია შეადგინოს ტფილისის მცხოვრებელთა ოჯახების სიები. საქალაქო გამგეობა, შეუდგა რა ამ საქმეს, პოლიციის დახმარებით უმორჩილესადა სთხოვს მცხოვრებლებს: 1) წარუდგინონ პირად საოჯახო სიების შემდგენელთ მეტრიკის მოწმობანი წლოვანობაზე, ხოლო თუ სახლიდამ წავლენ სადმე, ეს მოწმობანი ანუ იქიდამ ამოწერილი ბარათები დაუტოვონ იმას, ვინც სახლში რჩება; 2) უკეთუ მეტრიკის მოწმობანი რომელსამე სახელმწიფო, ან კერძო დაწესებულებაში ინახება, ან რომელსამე სასწავლებელში, მაშინ წარუდგინონ სიების შემდგენელთ იქიდამ ამოწერილი ცნობა, თუნდა სრულიად კერძოთაც იყოს იგი ამოწერილი იქონიონ იმათ, ვინც სახლში იმყოფება, დაწერილი, თუნდ სულ უბრალო ქაღალდის ნაჭერზედაც, ცნობა რა ენითაც უნდა იყოს, იმის თაობაზედ, — თუ რამდენი სულია ოჯახში, თუ სხვაგან არის რომელიმე წევრი ოჯახისა, სახელდობრ, სად იმყოფება, რა სავაჭრო დოკუმენტი აქვს, რომლის ძალითაც ვაჭრობს ან ხელოსნობს, ე. ი. პირველის გილდიის მოწმობა აქვს, მეორისა, თუ მოწმობა საწვრიმალოთი ვაჭრობისა, აგრეთვე იმაზე,—თუ ვინ რა წოდებისაა, თავად-აზნაურობისა, სასულიეროსი, საპატიო მოქალაქობისა, თუ დაბალ მოქალაქობის წოდებისა.

(3—3)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

**საქართველოს მოკლე ისტორია**

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

**საქართველოს საეკლესიო ისტორია**

ფასი 45 კაპ.

**მერცხალი**

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში:** გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

(10—8)

**დაიბეჭდა** და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი


Дозволено цензурою Тифлисъ 20 іюня, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.